ცნობის ფურცელი
სურათებიანი დამატება
ამატების № 19 კვირა, 16 დეკემბერი 1901 წ. გაზეთის № 167[illegible]

# რისთვის, რა დავაშავე?..

(ატიუდი)

„რა მშვენიერებაა!“... სთქვა პაწია ჭიამ, როდესაც გაამ ვრია კვერცხი და დაიბადა.

„რა კარგა ყოფილა მოწყობილი ქვეყნიერება... როგორ მწვანებულია გარშემო, რარიგად თბილა ამ ბრწყინვალე მზე... აგერ, თრთვილიც ზურმუხტ ბალახზე როგორ კამკამებს!“...

მოლონიერდა ცოცხალი არსება, მიცოცდა სუსტი ფეხეით და ხარბად დაეწაფა ანკარა ნამს. გამოუთქმელი ნეტარება გრძნო: თითქო ხელ-მეორედ იბადებოდა.

მართლაც, მშვენიერება იყო ვეება ეკალა-ბალახებსა და უზარ-მაზარ კომბოსტოების ჩრდილში, სადაც ნაზად, უდარდელად ბალახიდან ბალახზე მიცოც-მოცოცავდა ახლად დაბადეული და გემრიელად მიირთმევდა ნორჩ ხასხას ფოთლებს. აათი საათს მისდევდა, დღე—დღეს, და ჩვენი ჭია კმაყოფილი უყო ბედნიერი ცხოვრებით.

ერთს დილას ეს უდარდელი ცხოვრება სულ ჩაუშხამა ჭიას,—იცით რამ?—ფიქრმა. ტყუილად კი არაა ნათქვამი: ფიქი და იჭვი ეშმაკისაგან მომდინარეობ. მაშ რა შეუშფოთებდა ცხოვრეას, რა აალელვებდა ამ უდარდელ რსებას, თუ არ ეშმაკის ნამოქმეარი.

ასეც მოხდა. ერთს დილას, რო ორც მოგახსენეთ, თავში დაებადა ჭიას საუბედურო კითხვა: „ვინ შეჰქმნა ყოველივე, რასაც ირგვლივ ვხეავ?“...

— „ეს გემრიელი ბალახ-ბულახი, ყოველ სასმელზე უტკბესი ნამი, ეს უზარ-მაზარი მცენარეები რომელთა წვერები ცის სივრცეში იკარგებიან —ნუ თუ თავის-თავად გაჩნდა?... აიდან?.. რისგან?“.. თქვენც დაეთანმებით, მკითხველო, ჭიას, რომ ღირდა ყოველსავე ამაზე ფიქრი.

ჭიამაც იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა, რომ ყოველისავე შემოქმედი უსათუოდ უნდა არსებობდეს. — „სხვაფრივ შეუძლებელია, შეუძლებელი; ახლა, რაკი შემოქმედი არსებობს, მისი უნდა მეშინოდეს, უნდა ვადიდო იგი, ვილოცო, რათა ჩემთვის ცუდად არ მოიხმაროს თავისი ძლიერება“.

ამას შემდეგ დადინჯდა ჭია, გაბრძენდა და იწყო ახალი ცხოვრება: იგი მარტო ჭამა-სმას და ფოთლიდან ფოთოლზე სეირნობას აღარ უნდებოდა,—საათობით იდგა ხოლმე თავაწეული, გარინდებული და გულმოდგინედ ლოცულობდა: შესთხოვდა ყოვლის შემოქმედს, რათა მოწყალე ეყოს მას.

ერთხელ, ის იყო დილის ლოცვა გაათავა და საჭმელად კომბოსტოს ფოთოლზე აპირობდა გადასვლას, როდესაც მოესმა საშინელი ხმაურობა, რომლის მაგვარი გაჩენის დღიდგან არ გაეგონა შრიალი, ბრაგუნი, შხეპა და ლაწა-ლუწი აირია ერთმანეთში, უზარმაზარი ეკალა ბალახები, კომბოსტოები და სხვა მაღალი მცენარეები ტყლაშუნით მიერტყ-მოერტყნენ ერთმანეთსა, გუბეებიდამ შხეპით გადმოესხა არემარეს წუმპე. შეინძრა ყოველივე. თვით ტოტი გარეული ქონდრისა, რომელზედაც იჯდა ამდროს ჭია და მისი სურნელებით სტკბებოდა, შეირხა საშინლად... გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო; საწყალს უკანა ფეხები მაგრა ჩაეჭიდა ქონდრის ღეროსათვის, თავი მაღლა აიწია და ოჰ, ღმერთო!... რა დაინახა!... რაღაც უშველებელი შავი და საზარელი არსება გლაჯუნით უახლოვდებოდა ჭიას. გზა-გზა სრესდა და სიცოცხლეს უსპობდა ყველას, ვინც კი ჰხვდებოდა მას. ჭია მიხვდა, იგრძნო, რომ, უსათუოდ, ეს უნდა იყოს ის ძლიერი შემოქმედი ყოველისავე მის გარშემო არსებულისა, რომელსაც ადიდებდა და ლოცულობდა იგი. გადაფარჩხა პაწია აცახცახებული წინა ფეხები და ვედრებით შესთხოვა გადარჩენა უზენაესს.

შავი უზარმაზარი არსება გაეგლაჯუნა სწრაფად ახლო მდგომ კომბოსტოს, ირგვლივ ასტეხა ხელმეორედ ლაწა-ლუწი და ერთბაშად გაქრა... მიჩუმდა მიდამო. ჭიამ დაუშვა ხელები, ნაზად მიიხედ-მოიხედა, გადაავლო თვალი არემარეს და უნებლიედ თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა, როდესაც დაინახა მრავლად დასრესილი ნაცნობი ჭია-ჭუები....— „დიდება მის სახელსა და კურთხევა მის ძლიერებას!“... შეშინებულმა, აცახცახებულმა ხელები აღაპყრო მხეცისკენ, წარმოიდგინა თვალწინ ის უზარმაზარი შავი არსება და იწყო ისევ ლოცვა... ამ უცნაურ შემთხვევის შემდეგ ისე დაშინდა ჭია, რომ ერთი ორად უმატა ლოცვა-ვედრებას, თავისი ხელით აიშენა პაწია ქოხი, საცა შეეფარებოდა ხოლმე ავდარში. ლოცვის შემდეგ არა ერთხელ მჯდარა თავის თბილ სახლში, ათას ფიქრებში გართული გარედ კი ამ დროს ჰქუხდა, გრგვინავდა და აშხაპუნებდა წვიმა, რასაც ვერ უძლებდა უშველებელი ეკალა-ბალახი და მიწაზე ერთხობოდა... არა ერთხელ ჩაფიქრებულა სიბრძნისაგან გამწარებული, თუ ნეტა რად მოუნდა შემოქმედს ჭია-ჭუების გაქრობა, რად დაეცა მათ ისე მოულოდნელად და მოუსპო სიცოცხლე.



საქართველოს ახალი ეგზარხოსი ალექსი

დაე ისინიც ყოფილიყვნენ ქვეყანაზე... თუ ყოვლად შემძლებელს არ სურდა მათი არსებობა, რისთვის აჩენდა მათ! იფიქრა, იფიქრა და ცოდო-მადლის არსებობას მიხვდა.—ალბად,—წამოიძახა გულამოსკვნით ჭიამ, —ცოდვიანებს ის ძლიერი შემოქმედი სრესავს, აქრობს და მადლიანებს კი არ ერჩის...

ამ დღიდგან ცდილობდა ყოფილიყო ყველასთან კეთილი, არავისთვის ეწყენებინა, ბოროტება არა ჩაედინა-რა დასხვა...

ესე და ამ გვარად სცხოვრობდა დღითი-დღე: სჭამდა, სვამდა, მუშაობდა, ლოცულობდა და ჩაფიქრებით გონებას

ივითარებდა. მაგრამ ერთს საუბედურო დღეს, არ იქნა, კიდევ ასტყდა ცნობილი ხმაურობა: ბრაგუნი, ლაწალუწი, შხეპა აირია ერთმანეთში. ეკალ-ბალახები და კომბოსტოები ტყლაშუნით მიერტყ-მოერტყნენ ერთმანეთსა, შავი უზარმაზარი არსება გლახუნით უახლოვდებოდა ქიას. და უცებ... მოისპო ფიქრი, და სასოება... მებოსტნემ ულმობელად გასრისა ქია ჩექმით იმ შავი უშველებელი ჩექმით, რომელსაც ვედრებით არა ერთხელ შესთხოვდა ხოლმე უბედური: „ბალახი და ნამი ჩვენი არსებისა მომეც ჩვენ დღეს“... ის კი არ იცოდა, რომ იმ ჩექმის დამტარებელი თავადაც დაეძებდა შემოქმედს და მარტო ამაში იყო მისი სიცოცხლეც. ქია მოკვდა ისე, რომ თავისი, ღმერთისკენ მიმართული თვალები ვერცკი დახუჭა, მაგრამ გასრესის დროს ერთად-ერთმა აზრმა ელვასავით გაურბინა თავში, „რისთვის, რა დავაშავე?“...

ალექსანდრე ყანჩელი



ცეცხლი როტშილდის ბათუმის ქარხანაში.—გადამწვარი ადგილი მეორე დღეს დილას.

და ვერ ჩაჰკლავს უხმოდ გულში
თვით ღმერთიც კი ჩემს გულის თქმას.

—

რომ სხვის ნებით თვითვე ჩემი
შეურაცხვყო წმინდათ-წმინდა?! —
ეჰ, არ ძალმიძს... და ამ გვარი
თვით სიცოცხლეც აღარ მინდა.

—

ვით ვებრძოდი, კვლავაც ვიბრძოლებ,
მთელს სამყაროს დავცემ თავზარს,
სად კლდედ მეხად გარდვიქცევი,
გრგვინვით შევძრავ ველს და მთა-ბარს.

—

ტიალს ბედსაც ბრძოლად ვიწვევ:
არ მაქვს მისი მორიდება;
ორში ერთი: ან სიკვდილი
ან და სრული გამარჯვება.

დ. ახობაძე.

1901 წ.
ფოთი.

* * *

ვისაც ტკბილი ნეტარ გრძნობით
მარად მკერდ ქვეშ უძგერს გული,
ვარდ-ყვავილი გზა-კვალს უმკობს
და სულს ულხენს გაზაფხული;

—

ვისაც მოძმეთ ტკივილები
არ უგრძვნია, არ უნახავს
და ცხოვრების მიზნად მხოლოდ
სიტკბოება დაუსახავს;

—

მკაცრ კანონებს ცხოვრებისას
ვინც დანებდა უბრძოლველად
და ვინც ბედს წინ არ აღუდგა
თვის გულის თქმათ დასაცველად;

—

ვინც რომ სხვისი შთაგონებით
გულს ჩაიკლა წმინდა მცნება
და მიიღო ჯილდოდ, ნაცვლად
საამქვეყნო ნეტარება, —

—

დე, თვის ბედს ის შეურიგდეს...
კვლავაც მიუძღვნას, ქებათ-ქება
და, ვით მონამ განუცხადოს
მას სიკვდიმდე მორჩილება.

—

მე კი... მე კი აღარ ძალმიძს
ქედი ვისმეს მოვუხარო
და ფარ-ხმალი ამართული
რომ სხვის შიშით ძირს დავხარო.

—

იმ თავითვე წილად მერგო,
ვიცი, მხოლოდ ტანჯვა, კვნესა,
მაგრამ მითი გულს არ ვიკრთობ,
არ ვემდური ჩემსა ხვედრსა.

—

ამაყ სულის მისწრაფებებს
ვერ შეაკვეცს ვერავინ ფრთას,



ცეცხლი როტშილდის ბათუმის ქარხანაში.—გადამწვარი ადგილი მეორე დღეს დილას.



მუდმივი შური—სურ. ვებერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარევი და გასართობი



**საუზმის წინ.**—სურათი მაქს რინგისა

— მზადა ვარ პირველ
ეზედ ჩამოვიხრჩო თავი,
იდრე გაკოტრებულად გა-
ოვცხადდე.

— ეეჰ!.. ძმავ, ყველა
რომ ასე ფიქრობდეს, ხეე-
იც აღარ გვეყოფოდა.

—

— ვის დაუკარი თავი?

— ეგ ჩემი ნაცნობია,
რომელიც მე დავაყენე
ვეხზედ.

— როგორ?

— აი როგორ: წინად
თავის საკუთარი ეტლი
ქონდა და სულ იმით და-
იოდა, ერთ დღეს გავ-
მინდე სუფთად, ესე იგი
ოვუგე რაც ებადა და
ხლა ფეხით დასეირნობს.

—

— რა განსხვავებაა მეე-
ლესა და ხმოსანს შო-
ის?

— არაფერი. მეეტლეს
ეუძლიან თან ეძინოს და
ან ცხენებს ერეკებოდეს.

— ხმოსანსაც შეუძლიან
ან ეძინოს და განაგებ-
ეს საქვეყნო საქმეებს.

—

— აი ნახე ჩემი ცოლის
ურათი.

— უეჭველია, სწრაფად
რის გადაღებული.

— რადა გგონიათ?

— იმიტომ რომ პირი
აკუმული აქვს.

—

— ბატონი შინ არის?

— არა, ბატონო, გრანიცაში წაბძანდა.

— ჰო, კარგი, მაშ უთხარი—სხვა დროს რომ მიდიოდეს,
ავის თავი თან წაიღოს ხოლმე, თორემ ეხლა ფანჯარაში დავი-
ხე.

—

— რა უზრდელები არიან კაცები (ორი ქალი ლაპარაკობს)

— რადა?..

— ყალბ ბრილიანტებს გაჩუქებენ და ნამდვილს სიყვა-
ულს თხოულობენ.

—

გაზეთის მკითხველს ეცოდინება, რომ გერმანელები ამ
კანასკნელ დროს მეტად უკმაყოფილონი არიან გერმანულ
ივერსიტეტების უცხოელ სტუდენტების სიმრავლით, თუმცა
ით გერმანელ სტუდენტების რიცხვთან შედარებით უცხოე-
ების რიცხვი ერთობ მცირეა.

გასულ ზაფხულს უცხოელ სტუდენტების რიცხვი გერმა-
ლ უნივერსიტეტებში უდრიდა—2606. ამათგან რუსებია—
1, ავსტრიელები და ჰუნგრელები—507, შვეიცარიელები—
6, ინგლისელები—157, ბოლგარელები—68, ჰოლანდიელე-
—50, ფრანგები—47, ბერძნები—46, იტალიელები—44,
რბები—44, ლიუქსემბურგელი—38, რუმინელი—37, ოს-
მალელნი—35, შვედელი და ნორვეგიელი 26, ბელგიელი—22, დანელი—8, ესპანიელი—5, ჩერნოგორიელი—2 და პორტუგალელი—1. არა—ევროპიელების რიცხვი—492, ამათგან 323 ამერიკელია, 154 აზიიდან, თითქმის სულ იაპონელები, 12 აფრიკიდან (მეტ წილად სამხრეთ ახალშენებიდან) და 3-იც ავსტრალიიდან.

გერმანელებს კიდეც ენდა უხაროდეს, რომ ამდენი უცხოელი მოაწყდა მათ უნივერსიტეტებს. ესენი კი ჯავრობენ!

—

ქართულ იაფ-ფასიან წარმოდგენების მაყურებლების არ იყოს, პარიზის განაპირა უბნების პატარა თეატრის მაყურებელნიც დიდ სულიერ მონაწილეობას იღებენ პიესის გმირების მწუხარებასა და მხიარულებაში და ხმა-მაღლა აცხადებენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ გმირის შესახებ. მაგრამ ხან-და-ხან სულიერ მონაწილეობას არ კმარობენ და ფიზიკურადაც ჩაერევიან ხოლმე საქმეში. ეხლახან ერთი მუშა ისე გაიტაცა პიესის შინაარსმა, რომ სრულებით დაავიწყდა, სად იყო, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავის ქუდი ესროლა აქტიორს, რომელიც მოღალატის როლს თამაშობდა. ქუდმა დანიშნულ ადგილს ვერ მიაღწია და ლიუსტრაზე გაჩერდა, ცეცხლი მოეკიდა დ კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა. ინციდენტის მიზეზი მუშა პასუხისგებაშია მიცემული.

—

ეხლა ხან გერმანიაში ასამართლებდნენ სტუდენტს, რომელსაც თავისი საყვარელი მოეკლა. როცა ბრალდებულს წინადადება მისცეს—სთქვი რამე თავის გასამართლებლადაო, მან განაცხადა. შოპენჰაუერმა და ნიცშემ გამიტაცეს და ამ გატაცების შედეგი იყო ჩემი დანაშაულიო. ამაზედ მოსამართლეს შეენიშნა—თქვენთვის უკეთესი იქნებოდა სხვა ავტორები გეკითხათ და არა ისეთები, რომელთაც თავიანთი ცხოვრება გაგიჟებით გაუთავებიათო. სტუდენტის თავის მართლებაც უცნაურია, მაგრამ უცნაურობას არ არის მოკლებული განათლებულ მოსამართლის შეხედულებაც დიდებულ ფილოსოფოსებზე.

—

**განქორწინების მოყვარული.** ერთმა ამერიკელმა ახალგაზდა ფერმერმა ერთის წლის განმავლობაში სამჯერ შეირთო ცოლი. გასულ წლის ნოემბერში ჯვარი დაიწერა თექვსმეტის წლის ლამაზ ქალზე, 1901 წლის მარტში გაეყარა ამას და ერთ კვირაზე შეირთო ამდენისავე ხნის ქალი. ამას გაეყარა ოქტომბერში და ნოემბრის დასაწყისში ჯვარი დაიწერა კიდევ უფრო ახალგაზდა ქალზე.

ამერიკელი უთუოდ ყველაფერში უცნაური უნდა იყოს!

## თავად-აზნაურების ბანკი



—ეს რა გვემართება, ხალიჩას გვაცლიან ქვეშიდან?!...

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი


# განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

## „მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

### სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

### „მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 10 მ. | 1 წლით | 13 მ. |
| 3 თვით | 6 „ | 6 თვით | 7 „ |
| 6 „ | 3 „ | 3 „ | 5 „ |

ყოველ დღიური გაზეთი

### „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| 1 წლით | 6 მ. | 1 წლით | 9 მ. |
| 6 თვით | 4 „ | 6 თვით | 7 „ |
| 1 „ | 75 კ. | 1 „ | 90 კ. |

**გარდა „მოამბე“-ს მთელის წლით გამომწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.**

## სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

**რედაქცია** და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ნოემბრის ნომრიდან რედაქცია ჰბეჭდავს ჟურნალ «მოამბის» დამატებაში

**დ-რის ფოსტერის ფიზიოლოგიას**

### სურათებით

რომელიც დასრულდება იანვრის წიგნში.

1902 წ. თებერვლიდან ჟურნალ «მოამბის» დამატებაშივე, ბოლოში, დაიწყობა ბეჭდვა

**საზოგადო ისტორიის პირველი წიგნის**

### „ძველი საბერძნეთი“

ცნობილ მეცნიერის **მონოს** კოლლექციიდან.

### სურათებით

ფრანგულიდან ნათარგმნი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.